



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 13, 2024

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
OPEC+-ის მოპოვების შემცირება, როგორც ჩანს მოქმედებს, რადგან ნავთობის მსოფლიო ბაზარი მკაცრდება.....	2
ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე - საწვავზე ფასის გამვირების რაიმე რისკი არ არსებობს .....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
მთავრობამ ქარის სადგურ „იმერეთი 1“-ის კონცეფცია მოიწონა - როდის აშენდება საჩხერეში ელექტროსადგური? .....	3
როგორი იქნება პარიზზე 5-ჯერ დიდი ელექტროსადგური, რომლის დანახვა კოსმოსიდან იქნება შესაძლებელი - მას ინდოეთის უდაბნოში მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი აშენებს.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	5
პარლამენტში "ენერგოდამოუკიდებლობის სახელმწიფო კონცეფცია წარადგინეს" .....	5
მხოლოდ მზისა და ქარის სადგურების აშენებით, ფონს ვერ გავალთ - ენერგეტიკოსი .....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
თვითმონიტორინგის სისტემები სამრეწველო საწარმოების 60%-ს აქვს დანერგილი - ნინო თანდილაშვილი.....	6
გარემოს დაცვის სამინისტრო კვლავ ცალკე უწყებად უნდა ჩამოყალიბდეს - ნინო ჩხოზაძე .....	7
ღონისძიებები .....	7

## ნავთობი და გაზი

### OPEC+-ის მოპოვების შემცირება, როგორც ჩანს მოქმედებს, რადგან ნავთობის მსოფლიო ბაზარი მკაცრდება

როდესაც OPEC+-ის მინისტრები მომავალ კვირას შეაფასებენ ნავთობის გლობალურ ბაზრებს, ისინი დაინახავენ უამრავ მტკიცებულებას, რომ მათი წარმოების შემცირება მოქმედებს.

წლის შემცირებული მოპოვებით დაწყების შემდეგ, ნედლი ნავთობის ფასები ზრდის ნიშნებს აჩვენებს, რადგან საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეების მიერ მიწოდების შემცირება კომბინირდება საოცრად მდგრად მოთხოვნასთან.

ბაზრის განწყობებს ჯერ კიდევ ბევრი აკლია იმ ენთუზიაზმამდე, რაც 2023 წლის დასაწყისში იყო, როდესაც მოვაჭრეები ფართოდ აცხადებდნენ 100 დოლარიანი ნავთობის დაბრუნებას, მაგრამ უოლ-სტრიტის ბანკები, როგორცაა Morgan Stanley და სავაჭრო გიგანტები, როგორცაა Trifigura Group, პროგნოზირებენ ფასების შემდგომ ზრდას.

Brent-ის ნავთობის ფიურსები წელს დაახლოებით 11%-ით გაიზარდა, რაც ბოლო კვირებში ბარელზე 85 დოლარს აჭარბებს. მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება გააუარესოს სიტუაცია ცენტრალური ბანკების და მომხმარებლების მხრიდან, ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლო წარმატებების შემცირებით, ერ-რიადისთვის და მისი პარტნიორებისთვის ეს აქცია ზრდის სასიცოცხლოს მნიშვნელოვან შემოსავლებს.

OPEC-ის ოფიციალური პირები არ ხედავენ საჭიროებას განიხილონ წარმოების პოლიტიკაში რაიმე ცვლილებები 3 აპრილს, როდესაც ისინი გამართავენ ონლაინ მიმოხილვას წარმოების უახლესი შემცირების შესახებ.

წყარო: worldoil.com - <https://bit.ly/4afjqsK>

### ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე - საწვავზე ფასის გამძვირების რაიმე რისკი არ არსებობს

მინდა გითხრათ, რომ საწვავზე ფასის გამძვირების რაიმე [რისკი] არ არსებობს, - ამის შესახებ „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარემ, ვახტანგ იოზაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, თუ პოლიტიკურმა გავლენამ მსოფლიო სანავთობო ბაზრებზე არ იმოქმედა, „ჩვენ დღეისთვის არაფერი არ გვემუქრება“.

გარდა ამისა, იოზაშვილის განმარტებით, საქართველოს კარგი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყანაში საწვავის დეფიციტის შექმნის საშიშროება არ არსებობს.

„ვერ დავეთანხმები, რომ [საწვავი] შეიძლება 20 თეთრით გაიზარდოს, ვერ გაიზრდება. დღეს ჩვენ ამის არანაირი საფუძველი არ გვაქვს. გათანაბრებულია ფასი ევროპისა და რუსული პროდუქტისა, აქედან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ არანაირი ფასის გამძვირების რაიმე [რისკი] არ არსებობს. უფრო მეტიც, [საწვავზე] ფასის გამძვირება არის დამოკიდებული მსოფლიო სანავთობო ბაზრებზე. თუ პოლიტიკურმა გავლენამ მსოფლიო სანავთობო ბაზრებზე არ იმოქმედა, ჩვენ დღეისთვის არაფერი არ გვემუქრება.“



ამასთან, არც დეფიციტი გვემუქრება. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია წყნარად ვიყოთ. საქართველოს სანავთობო ბაზარი დღეს დღეობით არის სტაბილიზირებული და ეს სტაბილიზაცია გაგრძელდება მანამ, სანამ რაიმე მსოფლიო სანავთობო ბაზრებზე არ მოხდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუსეთის გავლენა არ იმოქმედებს იმიტომ, რომ ფაქტობრივად, გაწონასწორებულია ფასები. რუსეთს ერთ პლუსი ჰქონდა, ქართული კომპანიებისთვის ტრანსპორტირება ბევრად მისაღები იყო იმიტომ, რომ ვაგონებით მოდიოდა, კერძოდ, გარდაბანში და აღარ სჭირდებოდა იმ პროდუქტს, არც გადატვირთვა და არც რაიმე დამატებითი ხარჯები. ფაქტობრივად, ბოლო თვეებში ფასები გათანაბრებული იყო.

ჩვენ დღესდღეობით არაფერი გვემუქრება. ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ შეიძლება დეფიციტი შეიქმნას, დეფიციტი არასოდეს არ შექმნილა და საქართველოში დეფიციტი არასოდეს არ შეიქმნება იმიტომ, რომ ჩვენ კარგი გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვს. საქართველოში ევროპული საწვავი დღეისთვის გაჯერებულია. ყველა დიდ კომპანიას თავისი მარაგებიც კი აქვს. არანაირ პრობლემას ვერ ვხედავ - არ ვიყიდით ივანესგან [საწვავს] და ვიყიდით ჯორჯისგან, ევროპისგან ვიყიდით. კონკრეტული ქვეყნებია, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, „რომპეტროლი“ (რუმინეთი), ბულგარეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი. საწვავს ყველა იმ ქვეყნიდან მოვიტანთ, საიდანაც იაფი დაგვიჯდება“, - განაცხადა ვახტანგ იობაშვილმა “კვირის“ პრესკლუბში.

წყარო: bfm.ge - <https://bit.ly/3TE4vkK>

## ელექტროენერგეტიკა

### მთავრობამ ქარის სადგურ „იმერეთი 1“-ის კონცეფცია მოიწონა - როდის აშენდება საჩხერეში ელექტროსადგური?

საჩხერის ტერიტორიაზე ქარის ელექტროსადგური „იმერეთი 1“ აშენდება. პროექტი მოიწონა საქართველოს მთავრობამ და პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი განკარგულება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

როგორც bfm.ge-ის პროექტის განმახორციელებელი კომპანია „უსასრულო ენერჯის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ბახტურიძემ განუცხადა, მშენებლობა დაახლოებით ერთი წლის ვადაში დაიწყება.

„სამშენებლო ეტაპის განხორციელების მემორანდუმი გაფორმდა, შესაბამისად, დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები. პროექტი საჩხერის ტერიტორიაზე განხორციელდება და სამშენებლო სამუშაოები ალბათ ერთ წელიწადში დაიწყება“, - განაცხადა ბახტურიძემ.

მთავრობის განკარგულებაში აღნიშნულია, რომ ცნობად უნდა იქნას მიღებული ინფორმაცია ქარის ელექტროსადგურს პოტენციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირების თაობაზე. აქედან გამომდინარე დასმულ კითხვაზე, პროექტში ხომ არ იქნება მთავრობის თანამონაწილეობა, ბახტურიძე პასუხობს: „ეს სრულად კერძო პროექტი და კერძო ინვესტიციაა. საუბარია დაახლოებით 140-150 მლნ დოლარზე. პროექტს „უსასრულო ენერჯია“ განხორციელებს და მისი სიმძლავრე 100

მეგავატი იქნება. პროექტი ერთ წელში დაიწყება და დაწყებიდან 2.5 წელიწადში უნდა დასრულდეს“, - თქვა ბახტურიძემ.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/3vyyySR>

## როგორი იქნება პარიზზე 5-ჯერ დიდი ელექტროსადგური, რომლის დანახვა კოსმოსიდან იქნება შესაძლებელი - მას ინდოეთის უდაბნოში მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი აშენებს

ინდოეთში პარიზზე 5-ჯერ დიდი ზომის ენერჯის საწარმო შენდება, რომლის დანახვა კოსმოსიდანაც იქნება შესაძლებელი და მთელი შვეიცარიისთვის სამყოფ ელექტრო-ენერჯიას გამოიმუშავებს. პროექტის წყალობით, დასავლეთ ინდოეთის კიდეზე მდებარე უწყალო მარილის უდაბნო სუფთა ენერჯის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ გარდაიქმნება.

ელექტროსადგურის აღმასრულებელი დირექტორი საგარ ადანი Adan Green Energy Limited-ის (AGEL) აცხადებს, რომ პროექტის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ მათემატიკით და დაანგარიშებით თავს აღარ იწუხებს.



საგარ ადანი არის გაუტამ ადანის, აზიის მეორე უმდიდრესი ადამიანის ძმისშვილი, რომლის \$100-მილიარდიანი ქონება ინდოეთის ქვანახშირის უდიდესი იმპორტიორის და საწვავის მომპოვებელი Adan Group-ის დამსახურებაა.

დასავლეთ ინდოეთის შტატ გუჯარათში AGEL მზის და ქარის ელექტროსადგურს აშენებს, რომლის ღირებულება დაახლოებით 20 მილიარდ დოლარს შეადგენს. ელექტროსადგურის მშენებლობა დაახლოებით 5 წელში დასრულდება და ინდოეთის 16 მილიონ სახლს სუფთა ელექტროენერჯით მოამარაგებს. ინდოეთის გამომუშავებული ელექტროენერჯის 70%-ის წყაროს ჯერაც ქვანახშირი შეადგენს.

საგარ ადანის ენერჯის ინდუსტრიული პარკი ინდოეთისა და პაკისტანის საზღვრიდან 12 მილის მოშორებით შენდება. ის 200 კვადრატულ მილზე მეტ მანძილზე იქნება გადამჭიმული და პლანეტის უდიდესი ელექტროსადგური გახდება.

"ეს რეგიონი ისეთი დიდი და გამოუსადეგარია, აქ არაა არც ველური ბუნება, არც მცენარეულობა, არც დასახლებები. ამ მიწის უკეთესი ალტერნატიული გამოყენება არ არსებობს" - ამბობს ადანი.

წყარო: cnn - <https://bit.ly/3vCe0sD>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### პარლამენტში "ენერგოდამოუკიდებლობის სახელმწიფო კონცეფცია წარადგინეს"

პარლამენტში ენერგოდამოუკიდებლობის სახელმწიფო კონცეფცია წარადგინეს. ქართული ოცნების დეპუტატების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2027 წლის დასაწყისში ელექტროენერჯის წლიური წარმოების წილი ადგილობრივად მოხმარებულ ელექტროენერჯისთან თანაფარდობით არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდეს; 2030 წლისთვის განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების გამომუშავება უნდა გაუტოლდეს ან აღემატებოდეს ადგილობრივად მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობას.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი ირწმუნება, რომ ქართული ოცნების პირობებში მიზნის მიღწევა სრულიად შესაძლებელია.

"ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეკონომიკის სიმდიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ზუსტად ამიტომ, მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისი ინდიკატორები განსაზღვრულიყო, რომლებიც ერთი მხრივ, განახლებადი ენერჯიების გენერაციის უფრო განვითარებას შეუწყობდა და მეორე მხრივ, ქვეყანას ენერგოდამოუკიდებლობის კუთხით გაამდიერებდა. კონცეფცია სრულად თანხვედრაშია სახელმწიფოსა და ეკონომიკის სამინისტროს გეგმებთან, იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ევროკავშირთან გვაქვს", - განაცხადა დავით სონღულაშვილთან.

კონცეფციაში წერია, რომ ენერგეტიკული პოლიტიკის განსაზღვრის, მისი რეგულარული განახლების და მონიტორინგის მიზნით, მთავრობამ მდგრადი პროცესი უნდა ჩამოაყალიბოს. მათ შორის, საკოორდინაციო საბჭო შექმნას, რომელიც მთელ ენერგეტიკულ სექტორს გააანალიზებს.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/3TYWhFi>

### მხოლოდ მზისა და ქარის სადგურების აშენებით, ფონს ვერ გავალთ - ენერგეტიკოსი

პარლამენტში "ენერგოდამოუკიდებლობის სახელმწიფო კონცეფცია" წარადგინეს. ქართული ოცნების დეპუტატების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ



2027 წლის დასაწყისში ელექტროენერჯის წლიური წარმოების წილი ადგილობრივად მოხმარებულ ელექტროენერჯიასთან თანაფარდობით არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდეს; 2030 წლისთვის განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების გამომუშავება უნდა გაუტოლდეს ან აღემატებოდეს ადგილობრივად მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობას.

ენერგეტიკოსი გია არაბიძე BMG-სთან აცხადებს, რომ ქვეყანას პოტენციური აქვს, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა სრულად ადგილობრივი წარმოებით დააკმაყოფილოს და ელექტროენერგეტიკულ დამოუკიდებლობასაც მიაღწიოს. გია არაბიძის თქმით, რა დოკუმენტიც არ უნდა გაიწეროს, მიზნის მისაღწევად ახალი ობიექტების აშენებაა საჭირო.

"ზუნებრივია, ყოველდღე, ყოველ თვე და ყოველ საათში, შეიძლება არ იყოს ჩვენი გენერაციის საშუალებები საკმარისი, რომ მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. განსაკუთრებით, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში. წრიულ ჭრილში არის საშუალება, რომ ქვეყანა ელექტროენერგეტიკის კუთხით თვითკმარი იყოს. პრობლემა არის ის, რომ ჩვენი გენერაციების ექსპლუატაციაში შესვლა გვიანდება. ამ დაგვიანებამ გამოიწვია ის, რომ ენერჯიების წყაროების ექსპლუატაციაში შესვლაში ჩამორჩენილები ვართ. პრობლემა ვერ მოგვარდება მარტო იმით, რომ მზისა და ქარის სადგურებს ავაშენებთ, ეს ფონს ვერ გაგვიყვანს. სარეზერვო სიმძლავრეებია საჭირო, რომ ჩვენი სისტემა მდგრადი იყოს", - განაცხადა გია არაბიძემ.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/3TYWmsA>

## კლიმატის ცვლილება

### თვითმონიტორინგის სისტემები სამრეწველო საწარმოების 60%-ს აქვს დანერგილი - ნინო თანდილაშვილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის განცხადებით, ამ დროისთვის სამრეწველო საწარმოების 60%-ს აქვს თვითმონიტორინგის სისტემები დანერგილი.

როგორც ნინო თანდილაშვილმა BMG-ის განუცხადა, იქიდან გამომდინარე, რომ ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი წყარო სწორედ მსხვილი საწარმოებია, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა შესაბამისი გარემოსდაცვითი ვალდებულებები შეასრულონ.

„სახელმწიფოს მიდგომაა, რომ საწარმოებმა უნდა დანერგონ თვითმონიტორინგის სისტემები. ჰაერის ხარისხი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჩვენი მონიტორინგის მონაცემებით, სამრეწველო ქალაქებში დაბინძურების ერთ-ერთი წყარო სამრეწველო სექტორია. აქედან გამოსავალი არის თვითმონიტორინგის ვალდებულების შესრულება, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, ფილტრების სისტემების მოწყობას და თვითმონიტორინგის სისტემების განთავსებასაც. საწარმოების 60%-ს ეს ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს, ნაწილი კი შესრულების ეტაპზეა“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

ცნობისთვის, რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, სამრეწველო საწარმოებს თვითმონიტორინგის სისტემების დამონტაჟების ვალდებულება გაუჩნდათ, "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონში 2021 წლიდან ამოქმედდა.

შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2023 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 15 საწარმოს მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მათ შორის 13 ჯარიმას, ხოლო 2 შენიშვნას ითვალისწინებდა.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/3TXzRUD>

## გარემოს დაცვის სამინისტრო კვლავ ცალკე უწყებად უნდა ჩამოყალიბდეს - ნინო ჩხოზაძე

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო კვლავ ცალკე უწყებად უნდა ჩამოყალიბდეს.

როგორც "საქართველოს მწვანეები – დედამიწის მეგობრების" თავმჯდომარემ BMG-ს განუცხადა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების გაერთიანება შეცდომა იყო და ამ ორი მიმართულების ერთ უწყებაში ყოფნა ინტერესთა კონფლიქტს იწვევს.

ნინო ჩხოზაძის განცხადებით, გარემოს დაცვის მიმართულების ცალკე სამინისტროდ გამოყოფა იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად მნიშვნელოვანია, რაც საქართველოს კლიმატის ცვლილებების შერბილების კუთხით აქვს აღებული

"გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების გაერთიანებით ორივე დარგი დავაკნინეთ და სახეზე გარკვეულწილად ინტერესთა კონფლიქტი გვაქვს. სოფლის მეურნეობის სექტორი მომხმარებელია, ის მოიხმარს წყალს, ჰაერს და ყველაზე დიდი ვალდებულებები აქვს კლიმატის ცვლილების შერბილების ნაწილში. გარემოს დაცვის მიმართულება კი პოლიტიკის გამტარებელი და მკონტროლებელია. როდესაც ეს ორი სფერო ერთ უწყებაშია, რთულია დარგში არსებული სხვადასხვა პრობლემების სრულად დანახვა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ორი სფერო უნდა განცალკევდეს და გარემოს დაცვის მიმართულება ცალკე სამინისტროდ უნდა ჩამოყალიბდეს. მით უფრო იმ ფონზე, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში კლიმატის ცვლილებების ნაწილში საკმაოდ მნიშვნელოვანი ვალდებულებები აქვს აღებული და მისი შესრულება ცალკე უწყების პირობებში უფრო ეფექტურად მოხდება", - განაცხადა ნინო ჩხოზაძემ.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/4aCOG4O>

## ღონისძიებები

კონფერენცია - [CO2-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES Media Group

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია



[ფოტოელექტრული კვლევის იტალიური ქსელის კონფერენცია - Conferenza Rete Italiana Ricerca Fotovoltaico 2024](#)

თარიღი: 11- 12 ივნისი, 2024

ადგილი: ბოლცანო, იტალია

[ევროპის მდგრადი ენერჯეტიკის კვირეული \(EUSEW\) 2024](#)

სუფთა ნულოვანი ენერჯეტიკული გადაწყვეტილებები კონკურენტული ევროპისათვის

თარიღი: 11-13 ივნისი, 2024

ადგილი: ბრიუსელი, ბელგია, და ონლაინ

[მე-12 საერთაშორისო კონფერენცია -საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და განათების ენერგოეფექტურობა \(EEDAL'24\)](#)

თარიღი: 25-27 ივნისი, 2024

ორგანიზატორი: JYURI Jyukankyo Researc hInstitute Inc.

ადგილი: ქლაქი კიტაკიუშუ, იაპონია

[ფრაიბერგის მე-12 საერთაშორისო კონფერენცია ნახშირბადის ცირკულარული ტექნოლოგიების შესახებ](#)

თარიღი: 23-27 სექტემბერი, 2024

ადგილი: შანხაი, ჩინეთი

[მე-17 საერთაშორისო კონფერენცია ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების შესახებ](#)

თარიღი: 9-11 ოქტომბერი, 2024

ორგანიზატორი: ენერჯეტიკული პოლიტიკისა და განვითარების ცენტრი (KEPA)

ადგილი: ათენი, საბერძნეთი